2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების ანგარიში

თბილისი

2025

გასული წელი საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-სთვის გამოირჩეოდა ინტენსიური განვითარებითა და ყველა სტრატეგიული ამოცანის შესაბამისი აქტივობების წარმატებით შესრულებით. სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავდა აკადემიის საგანმანათლებლო, ინფრასტრუქტურული, საერთაშორისო და მმართველობითი შესაძლებლობების გაძლიერებას.

მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ დაგეგმილი მიმართულებები სრულად იქნა რეალიზებული.

საგანმანათლებლო მიმართულებით, აკადემიამ განახორციელა პროგრამების გაფართოება და მათი ხარისხის უწყვეტი შეფასება. შეიქმნა 4 (ოთხი) ახალი პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამა, შეფასდა მოქმედი 3 (სამი) პროგრამა, ხოლო არაფორმალური განათლების აღიარების სფეროში შემუშავდა ცნობიერების ამაღლების კონცეფცია. სტუდენტებზე ორიენტაციის პოლიტიკის ფარგლებში შეიქმნა ცნობიერების ამაღლების ელექტრონული მასალები. განხორციელდა კულტურულ-შემეცნებითი აქტივობები და გაძლიერდა სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა.

ინსტიტუციური განვითარების კუთხით, განახლდა და გამრავალფეროვნდა აკადემიის ინფრასტრუქტურა: მოეწყო ორი ახალი ლაბორატორია, სტუდენტური შიდა და გარე სივრცეები, სპორტული მოედანი და კაფეტერია. გაუმჯობესდა IT ინფრასტრუქტურა, განახლდა პროგრამული უზრუნველყოფა და აუდიტორიები აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკით. დასრულდა უსაფრთხოების სისტემების სრულ შესაბამისობაში მოყვანა კანონმდებლობასთან, რაც დადასტურებულია შესაბამისი ექსპერტიზებითა და ინსპექტირების ანგარიშებით.

ადამიანური რესურსების მართვაში პილოტირებულია ადმინისტრაციული პერსონალის და მასწავლებელთა შეფასებისა და განვითარების სისტემა, რითაც საფუძველი ჩაეყარა მათი პროფესიული ზრდის და უწყვეტი პროფესიული განვითარების სტრუქტურირებულ მექანიზმს. პარალელურად განხორციელდა შიდა მარეგულირებელი აქტების რევიზია და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დახვეწა.

ბრენდინგისა და მარკეტინგის მიმართულებით, აკადემიამ განაახლა ვიზუალური იდენტობა და ვებ.გვერდი, ხოლო სოციალური ქსელების კომუნიკაცია გადაიზარდა სტრატეგიულ, ერთიან სტილში - რასაც მოჰყვა გამომწერების ზრდა 8.8%-ით.

საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით, აკადემიამ მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელებაში. შემუშავდა და საავტორიზაციოდ მომზადდა საბაჟო საქმის ინგლისურენოვანი პროგრამა, გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმები მიუნხენისა და გიუმრის კოლეჯებთან, განხორციელდა პერსონალის ენობრივი ტესტირება და შემუშავდა ენის კომპეტენციის განვითარების კონცეფცია. აკადემია გაწევრიანდა EfVET-სა და ETF Excellence Network-ში, რითაც კიდევ უფრო გაძლიერდა მისი პოზიციონირება საერთაშორისო საგანმანათლებლო ქსელებში. აკადემიის მთლიანი ინფრაქტრუატურა ადაპტირდა ინგლისურ ენაზე და გაძლიერდა ინტერნაციონალიზაციის ასპექტები.

2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის შესრულებამ მნიშვნელოვნად განამტკიცა საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს სტატუსი როგორც თანამედროვე, ინოვაციურ და ევროპულ სტანდარტებზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო ინსტიტუციად. შესრულებული ინიციატივები ქმნის მყარ საფუძველს მომდევნო ეტაპზე ხარისხის, ინოვაციისა და საერთაშორისო პარტნიორობის კიდევ უფრო გაღრმავებისთვის.